ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და
საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის
სხდომის ოქმი №6

26 დეკემბერი 2025 წელი 11:00 საათი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი, გურამ ნიკოლაშვილი,
გიორგი დოხტურიშვილი, ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი
ბექა გელენავა, ლევან არველაძე,

კახა ბერაძე, გიორგი ქარდავა

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები

ქ,თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ვახტანგ ლომჯარია

ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ნინო ბაგაშვილი

კომისიის თავმჯდომარე, ავთანდილ ცინცაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიას წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

   №12-0325358155-03 24.12.2025

2. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, №16-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი:

№01.19.36.014.780, ფართობი - 2763 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

№12-032535948-03 25.12.2025)

1. მოისმინეს:

ქ,თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ კომისიის წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

სპორტის დარგში მომსახურე ეკონომიკური აგენტებისა და თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი სუბიექტებისათვის დადგენილია ქონების გადასახადის შეღავათიანი წლიური განაკვეთი (0,001%), რომელიც მოქმედებს გასაზღვრული ვადით.

აღნიშნული შეღავათის მოქმედების ვადა დადგენილი იყო 2025 წლის 1 იანვრამდე, ხოლო შესაბამისი სუბიექტების მიერ განხორციელებული საქმიანობის სპეციფიკის, მაღალი საბალანსო ნარჩენი ღირებულების მქონე ქონების არსებობისა და დაბალი მომგებიანობის გათვალისწინებით, კვლავ აქტუალურია საგადასახადო ტვირთის შემცირების აუცილებლობა, აღნიშნული სუბიექტების ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება.

პროექტით განისაზღვრება, რომ აღნიშნული შეღავათიანი განაკვეთის მოქმედების ვადა გაგრძელდება 2028 წლის 1 იანვრამდე და გავრცელდება 2025 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზე.

2. მოისმინეს:

ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა დეპუტატებს წარუდგინა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, №16-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.780, ფართობი - 2763 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.014.780) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.19.36.014.780 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=4.6) გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში

არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.1-დან კ-2=4.6-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 4-4 (ოთხ-ოთხი) სართულის დამატებასა და ორი 12 (თორმეტ) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ• იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 1,984,012.26 ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ ზემოაღნიშნული საკითხები შეაფასა დადებითად და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გასატანად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის
და საერთაშორისო ურთიერთობების

კომისიის თავმჯდომარე: ავთანდილ ცინცაძე